ზაზა შათირიშვილი

პლატონური სულიერება: მჭვრეტელობის პოლიტიკა და ქმედებითი ფილოსოფია

პლატონის სახელმწიფოს მიზანი

ანტიკური კულტურის მიხედვით, თავისუფალი ადამიანის წინაშე ორი ღირსეული გზა იყო – მას უნდა ეცხოვრა ან ჭვრეტითი (ფილოსოფიური), ან – ქმედებითი (პოლიტიკური) ცხოვრებით. ბერძნულად და ლათინურად ამ ორ გზას – βιος θεορητικος /vita contemplativa და βιος πρακτικος/vita activa – ეწოდება. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ჭვრეტითი ცხოვრება უფრო პრესტიჟულად მიიჩნეოდა, ვიდრე ქმედებითი. არისტოტელე ამგვარად ასაფუძვლებს ამ უპირატესობას:

> [მჭვრეტელობითი] უნარი უპირატესია, რადგან გონებაც იმ ყველაფერზე მაღლაა, რაც ჩვენშია, ხოლო შემეცნების საგანთაგანაც ყველაზე მაღლა ის დგას, რომელთანაც გონებას აქვს საქმე. ამავე დროს, მჭვრეტელობითი უნარი ყველაზე უფრო უწყვეტი რამაა, რადგანაც ჩვენ უფრო მეტად ძალგვიძს უწყვეტად ჭვრეტა, ვიდრე სხვა ნებისმიერი საქმის უწყვეტად კეთება (ნიკომაქეს ეთიკა, 1177a15).

რაც შეეხება იმ ადამიანს, რომელიც მხოლოდ პრივატული (პირადი, კერძო) ცხოვრებით ცხოვრობდა და ოდენ მატერიალური კეთილდღეობით – ქონებისა და ფულის მოხვეჭით იყო დაკავებული – ასეთ ადამიანს ბანაუსოსს, ანუ მონას უწოდებდნენ. პოლიტიკური ცხოვრება ნიშნავდა ომის დროს ომში, ხოლო მშვიდობიანობის დროს ქალაქის ცხოვრებაში – კანონების შექმნაში – მონაწილეობას. პოლიტიკა მთლიანად გამიჯნული იყო ეკონომიკური საქმიანობისაგან. ქმედებითი ცხოვრება მხოლოდ ქალაქის საჯარო ცხოვრებაში ჩართულობას გულისხმობდა.

პოლიტიკური – ქმედებითი და ფილოსოფიური – ჭვრეტითი ცხოვრების დისპოზიცია ანტიკურ კულტურაში მოცალეობის კონცეპტსა და ფენომენს ეყრდნობა. თავისუფალი მხოლოდ ის ადამიანია, რომელსაც აქვს მოცალეობა. მოცალეობა ბერძნულად შემდეგნაირად ითარგმნება: σχολη. ეს სიტყვა ძალზე ბევრ ენაში პირდაპირ ამ ფორმი-

თაა შესული: ინგლისურად – school, გერმანულად – Schule, ქართულად – „სკოლა“; როგორც იოზეფ პიპერი შენიშნავს, „სიტყვა, რომელიც იმ ადგილს აღნიშნავს, სადაც ჩვენ ვსწავლობთ და სხვებს ვასწავლით, იმ სიტყვისაგან წარმოდგება, რომელსაც შემდეგი მნიშვნელობა აქვს – მოცალეობა. მკაცრად რომ განვსაზღვროთ, „სკოლა“ – სულაც არაა სკოლა, ესაა – მოცალეობა.“

მაშასადამე, ბერძნული (და, საზოგადოდ, – ანტიკური) გაგებით, თავისუფალი მხოლოდ ის ადამიანია, რომელსაც აქვს მოცალეობა და, ამიტომაც, თავისუფალია ყოველგვარი სახის მეწარმეობისაგან – მატერიალურ-ფინანსურ-ეკონომიკური ინტერესებისაგან.

თავისუფალი ადამიანი მოცალეობის ჟამს თავისუფალი ხელობების მეშვეობით სულიერად ვითარდება. რას ნიშნავს თავისუფალი ხელობები, „ტექნეები“ – τεχναι ελευφθεραι (artes liberales)? – ესაა ისეთი ხელობები, რომლებიც არაუტილიტარულია, თავისუფალია ყოველგვარი მატერიალური ინტერესისაგან, ისინი არ გვაძლევენ არანაირ მატერიალურ სარგებელს და მხოლოდ ჩვენს სულიერ განვითარებას ემსახურებიან. სწორედ ამ თვისებით განსხვავდებიან ისინი „არათავისუფალი ხელობებისაგან“ (artes illiberales, artes serviles) – როგორიცაა: ხელოსნობა, ვაჭრობა, მიწათმოქმედება და ა. შ.), რომელთაც უტილიტარული – სამომხმარებლო დანიშნულება აქვთ. მივმართოთ ისევ არისტოტელეს, რომელიც შენიშნავს:

> ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მან, ვინც გრძნობადი აღქმების მიღმა რომელიღაც ხელობა გამოიგონა, ამით ადამიანები გააოცა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გამოგონებას სარგებელი მოაქვს, არამედ – უფრო თავისი სიბრძნის გამო. ხოლო იმის შემდეგ, როცა კიდევ უფრო მეტი ხელობა აღმოაჩინეს, ზოგიერთი – აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ხოლო ზოგიც – დროის გასატარებლად, ცხადია, რომ მათ, ვინც ეს უკანასკნელნი გამოიგონეს, უფრო ბრძნად მივიჩნევთ, ვიდრე – პირველთა გამომგონებელთ. ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ცოდნა არ ყოფილა სარგებელსა და გამორჩენაზე მიმართული. ამიტომაც, როცა ყველა ასეთი ხელობა გამოიგონეს, სწორედ მაშინ შეიძინეს ისეთი ცოდნა, რომელიც არც სიამოვნებისთვის არის განკუთვნილი და არც აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ხოლო ეს მოხდა სწორედ იმ ადგილებში, სადაც ადამიანებს მოცალეობა ჰქონდათ. ამიტომაც, მათემატიკური ხელობები, უპირველ ყოვლისა, ეგვიპტეში შეიქმნა, რადგანაც იქ ქურუმებს ჰქონდათ დრო მოცალეობისათვის (მეტაფიზიკა, 981b20).

თავისუფალი ტექნე სულ შვიდია – დიალექტიკა (ლოგიკა), გრამატიკა, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პლატონთან ეს სია მხოლოდ ხუთ ტექნეს

მოიცავს – გრამატიკისა და რიტორიკის გამოკლებით. თუ რა არის მიზეზი, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

მაშასადამე, σχολη (*სქოლე*) – „მოცალეობა“ – იყო თავისუფლების უმთავრესი მახასიათებელი. მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეეძლო აერჩია ცხოვრების ან ქმედებითი (პოლიტიკური), ან – მჭვრეტელობითი (ფილოსოფიური) – წესი.

მჭვრეტელობითი ცხოვრება იმიტომ იდგა ქმედებით ცხოვრებაზე მაღლა, რომ ის გულისხმობდა თავისუფალ ხელობათა, ტექნეთა (artes illiberales) კულტივაციას – ოღონდ პროფესიული (კერძო) ინტერესის გარეშე: მასწავლებელს ფული არ უნდა აეღო, ხოლო მოსწავლეს არ უნდა ეფიქრა, რომ ასეთი განათლება მას მატერიალურ სარგებელს მოუტანდა.

მაგრამ სად არის ფილოსოფია? სად არის მისი ადგილი თავისუფალ ხელობათა შორის? „თავისუფალ ხელობათა დედოფალი ფილოსოფიაა“. ანტიკურ კულტურაში ფილოსოფია – ესაა მჭვრეტელობითი ცხოვრების გულისგული, რომელიც გვაახლოვებს სიბრძნეს, სიკეთეს, ჭეშმარიტებას, ანუ – ნამდვილ ყოფიერებას, რაც ნიშნავს სიკვდილისათვის მზადებასა და ასკეტურ-მედიტაციური ცხოვრების წესს. ამიტომაც, ფილოსოფოსი არ მონაწილეობს ქალაქის (პოლიტიკურ) ცხოვრებაში – ის, როგორც ჭეშმარიტი ასკეტი, განდეგილია და განდგომილია ამ ცხოვრებისაგან.

რა თქმა უნდა, ანტიკურ კულტურაშიც არსებობდა გარკვეული დაძაბულობა ფილოსოფიასა და ყოველდღიურობას შორის. სწორედ ამაზე მიუთითებს ორმოში ჩავარდნილი თალესის შესახებ ცნობილი გადმოცემა, რომელიც მოჰყავს პლატონს თავის „თეეტეტში“ (174b). იმავე დიალოგში პლატონი წამოგვიდგენს მჭვრეტელობითი – ფილოსოფიური ცხოვრების ქრესტომათიულ სურათს:

> ... [ფილოსოფოსები} არასდროს განიცდიან მოცალეობის ნაკლებობას. თავიანთ განაზრებებს ისინი მდუმარებასა და თავისუფლებაში ეძლევიან.
>
> ... მათ უკვე ახალგაზრდობაშივე არ იციან გზა არც აგორისა და არც სასამართლოსაკენ, არც არეოპაგისა და არც სხვა საზოგადო შეკრების ადგილისაკენ. დაწერილი თუ ზეპირად წარმოთქმული კანონები მათ არც თვალით უნახავთ და არც სმენით გაუგონიათ. ისინი არავის ემეგობრებიან რაიმე თანამდებობის მოიპოვების მიზნით, ხოლო თავშეყრა, ღამეული ქეიფი და დროსტარება ფლეიტისტ ქალებთან ერთად ხომ სიზმრადაც არ დასიზმრებიათ... ქალაქში მხოლოდ მათი სხეულია, ხოლო გონებით, რომელიც უგულებელყოფს ამ ყოველივეს, როგორც უმნიშვნელოსა და ცარიელს – ისინი მიწიერ სივრცეებს მიმოიხილავენ, მიწის ქვეშ ეშვებიან და ცის მიღმა დაფრინავენ – და

> ყველაგან იკვლევენ თითეული ნივთის ბუნებას თავის მთლიანობაში, ხოლო რაც ახლოს არის, მას არც ეკარებიან... თალესზე ყვებიან, რომ ერთხელ როდესაც ის ციურ მნათობებს აკვირდებოდა, თურმე ჭაში ჩავარდნილა. მისმა ეშხიანმა და მკვირცხლმა მოსამსახურე ქალმა თურმე მას დასცინა, – ზეცას რას მიშტერებიხარ, როცა შენს ფერხთით რაც არის, ვერ ხედავო. ეს ნაკვესი ყველა იმ ადამიანის წინააღმდეგ არის მიმართული, ვინც ფილოსოფიას მისდევს... (თეეტეტი, 172d–174e).

როგორც ვხედავთ, პლატონს „თეეტეტში“ ფილოსოფია ესმის, როგორც ქალაქის ცხოვრებისაგან განდგომა და მჭვრეტელობითი ცხოვრება, როგორც ასეთი. ამასთანავე, ესაა – ჭვრეტა და კვლევა არა იმისა, რაც „ახლოს არის“ (ქალაქის ყოველდღიურობა), არამედ რაც „შორსაა“ – თითოეული ნივთის ნამდვილი ბუნების შეცნობა.

მაგრამ განსხვავებით „თეეტეტისაგან“, სადაც ფილოსოფოსს ქალაქის ცხოვრება არ აინტერესებს, „სახელმწიფოს“ მიხედვით, ეს უკვე პრობლემაა, რომლის არსიც ის არის, რომ ნამდვილად სამართლიანი ადამიანი მხოლოდ სამართლიან პოლისში (სახელმწიფოში) შეიძლება არსებობდეს. ამიტომაც, მხოლოდ ჭვრეტა, იმავე „სახელმწიფოს“ თანახმად, საკმარისი აღარ არის ჭეშმარიტი სამართლიანობის მისაღწევად. პლატონმა ცხადად დაინახა ეს პრობლემა, ჩვენც დაგვანახა და მისი გადაჭრის საკუთარი გზაც გვიჩვენა.

საქმე ისაა, რომ მხოლოდ ფილოსოფოსს აინტერესებს ჭეშმარიტება და ესწრაფვის მას, ხოლო პოლიტიკოსი მართავს ისე, რომ არც იცის და არც აინტერესებს ჭეშმარიტება. სხვაგვარ რომ ვთქვათ – ვინც იცის ჭეშმარიტება, ის არ მართავს, ხოლო ვინც მართავს, მან არ იცის ჭეშმარიტება. ფილოსოფოსი კი ისე ცხოვრობს, თიქთოს უკვე ნეტართა კუნძულზე სახლობს (სახელმწიფო, 519c).

ამიტომაც, საჭიროა, რომ მართავდეს სწორედ ის, ვინც ესწრაფვის ჭეშმარიტებას. უფრო მეტიც, პლატონის თანახმად, ჩვენ უნდა ვაიძულოთ ისინი, ვინც ფილოსოფიურად არიან აღზრდილნი, რომ დაუბრუნდნენ „ჩრდილებისა და ანარეკლების სამყაროს“ და დაეხმარონ იქ მყოფ ადამიანებს (სახელმწიფო, 519d).

მაგრამ როგორაა შესაძლებელი ჭეშმარიტების ცოდნა/ჭვრეტა ფილოსოფიური ანუ ჭვრეტითი (მჭვრეტელობითი) ცხოვრების გარეშე? ანტიკურმა კულტურამ არ იცოდა ამ კითხვაზე პასუხი. ერთადერთი ფილოსოფოსი, ვინც შეეცადა, ამ კითხვისთვის პოზიტიური პასუხი გაეცა, იყო პლატონი. „სახელმწიფო“ – ესაა ფილოსოფიის პოლიტიკა და პოლიტიკის ფილოსოფია საკუთრივი გაგებით – ანუ გზა, თუ როგორ ვაიძულოთ ფილოსოფოსი, რომ მონაწილეობა მიიღოს ქალაქის ცხოვრებაში.

პლატონის პასუხია ასეთია: ფილოსოფოსი ჯერ უნდა აღვზარდოთ და მხოლოდ ამის შემდეგ მას უნდა დავუმტკიცოთ, რომ აუცილებელია მისი ქალაქის ცხოვრებაში ჩართვა; და არა უბრალოდ ჩართვა – ის უნდა იყოს პოლისის მცველი და მმართველი, ფილოსოფოსი – მეომარი.

აქ იბადება მეორე შეკითხვა – როგორ უნდა აღვზარდოთ ასეთი ფილოსოფოსი?

თუმცა, სანამ ამ შეკითხვას ვუპასუხებთ, უნდა გავარკვიოთ ერთი რამ: რა არის პლატონის სახელმწიფოს (პოლისის, ქალაქის) მიზანი? რისთვის არსებობს სახელმწიფო? თუკი, მაგალითისათვის, თანამედროვე ადამიანს ამგვარი შეკითხვით მივმართავთ, ის ამ კითხვას, ალბათ, ასე უპასუხებს: სახელმწიფოს მიზანი მოქალაქეთა კეთილდღეობისა და საზოგადო სტაბილურობის ხელის შეწყობა, მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა უნდა იყოს.

როგორია პლატონის პასუხი? ალბათ, ყველას გვახსოვს, რომ „სახელმწიფო“ სამართლიანობაზე საუბრით და მისი განსაზღვრების ძიებით იწყება. საუბარს მივყავართ იქამდე, რომ სოკრატე თანამოსაუბრეებს ითანხმებს შემდეგ თეზისზე: სამართლიანობა, სამართლიანი ადამიანი მხოლოდ სამართლიან სახელმწიფოშია შესაძლებელი. სწორედ ამის შემდეგ იწყება ჩვენს თვალწინ სამართლიანი ქალაქის (სახელმწიფოს) „აგება-აშენება“ ლამის პირდაპირი აზრით.

მაშასადამე, პლატონის „სახელმწიფოს“ მიზანი სამართლიანი სახელმწიფოს შექმნაა, ხოლო სამართლიანობა (δικαιωσυνη) ჭეშმარიტების ჭვრეტასა და ცოდნას გულისხმობს. ამიტომაც, სამართლიანი სახელმწიფო ისეთმა მცველებმა უნდა მართონ, რომლებიც ერთდროულად ფილოსოფოსებიც იქნებიან და მეომრებიც. მმართველები და მცველები ემსახურებიან ჭეშმარიტების შენახვას, დაცვასა და მის გადაცემას – სწორედ ამიტომ ეწოდებათ მათ მცველები:

> . . . ფილოსოფოსები ისინი არიან, ვისაც ძალუძთ მოიცვან მთლიანობაში მარადიული და უცვალებელი ერთი... მაშ ვინ უნდა მართოს სახელმწიფო? ... – ვისაც აქვს სათანადო უნარი, დაიცვას სახელმწიფოს კანონები და ზნე-ჩვეულებები, სწორედ ისინი უნდა დაინიშნონ მცველებად... განა შეიძლება ეს საქმე ვანდოთ ბრმას, ვინც არ იცის თითოეული ნივთის არსი და ვისაც სულში არა აქვს ამისი ნათელი ნიმუშები (παραδειγμα), რის გამოც, მხატვართა მსგავსად, არ შეუძლია, სულ მუდამ უჭვრიტოს უზენაეს ჭეშმარიტებას და ამ ნიმუშების გამოწვლილვითი ჭვრეტის მიხედვით, როცა საჭიროა, დააფუძნოს მშვენიერების, სამართლიანობისა და სიკეთის კანონები, ან – დაიცვას უკვე არსებული კანონები?! (სახელმწიფო, 484b-484d)

როგორც ვხედავთ, ფილოსოფოსის მოვალეობაა, უჭვრიტოს მარადიულ ჭეშმარიტებას – ერთს (რომელიც, ამავე დროს, არის მშვენიერება, სამრთლიანობა და სიკეთე) და ამ ნიმუშის მიხედვით დააფუძნოს კანონები, ან დაიცვას უკვე არსებული ამგვარი კანონები. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ – პლატონური სახელმწიფოს დანიშნულება ჭეშმარიტების (მშვენიერების, სამართლიანობის, სიკეთის – ეს ყოველივე ერთი მარადიული ჭეშმარიტი ყოფიერების სხვადასხვა სახელი თუ ატრიბუტია) ჭვრეტა, ამ ჭეშმარიტების გამომხატველი თუ შესაბამისი კანონების დაფუძნება, მათი შენახვა და გადაცემაა.

სამართლიანობა თანამედროვე ადამიანისათვისაც მნიშვნელოვანი კატეგორიაა, მაგრამ კონტრასტი ანტიკურობასა და თანამედროვეობას შორის სხვაგან ძევს: პლატონს მიაჩნია, რომ ჭეშმარიტად სამართლიანი სახელმწიფოს ძირითადი მიზანი, ფუნქცია თუ მოვალეობა ჭეშმარიტების ჭვრეტა და მისი გადაცემაა – ეს კი, საბოლოოდ, გულისხმობს მოქალაქეთა (ადამიანთა) სულების ხსნასა და გადარჩენას. სწორედ ამიტომ მთავრდება „სახელმწიფო“ საიქიო მიგების შესახებ „მითოსით“ (ამ შემთხვევაში μυθος უნდა ითარგმნოს, როგორც „ტრადიციული რელიგიური გადმოცემა“, ან – „ამბავი“) – ესაა გადმოცემა ერთი პამფილიელი ჯარისკაცის – სახელად ეროსის – ხილვის (ვიზიონის) შესახებ, რომელიც დროთა განმავლობაში არ დაიკარგა, გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია. ამიტომაც, პლატონის თანახმად, ამ გადმოცემამ, თუ მას ვერწმუნებით, ჩვენც შეიძლება გვიხსნას და გადაგვარჩინოს (სახელმწიფო, 621bc).

მაშასადამე, პლატონის ფილოსოფიის მთავარი უწყება – ესაა უწყება მიგებისა და ხსნის შესახებ – საიქიოს ხატი და საიქიოს შესახებ გადმოცემა პლატონისეული სამართლიანობის „თეორიის“ (ბერძნული გაგებით!) საფუძველია. ოღონდ, ხსნა და გადარჩენა მხოლოდ ფილოსოფოსებს კი არ უნდა შეეძლოთ, არამედ – თითოეულ ადამიანს. სწორედ ამიტომაა საჭირო სამართლიანი სახელმწიფო.

ასე რომ, პლატონისეული პასუხი შეკითხვაზე, თუ რას წარმოადგენს სამართლიანი სახელმწიფო, არსებითად განსხვავდება ჩვენი პასუხისაგან. ჩვენ – თანამედროვენი, რა პოლიტიკურ იდეოლოგისაც არ უნდა ვიზიარებდეთ – მივიჩნევთ, რომ სამართლიანი სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია მოქალაქეთა უფლებების დაცვა და მათი კეთილდღეობისათვის პირობების შექმნაა. არადა, ამისაგან განსხვავებით, პლატონის სახელმწიფოს აშკარად რელიგიური მიზნები აქვს – აბა, სხვაგვარად, რა ინტერპეტაცია უნდა მივანიჭოთ სულის ხსნაზე ზრუნვას, ჭეშმარიტების ჭვრეტასა და მის დაცვას, რაც, პლატონის აზრით, სამართლიანი სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი უნდა იყოს?!

ამიტომაც, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთადერთი სტრუქტურა, რომლსაც ჰგავს პლატონისეული სამართლიანი პოლისი, სადაც მართავენ მჭვრეტელები და რომელიც მოწოდებულია არა კეთილდღეობისა თუ ეკონომიკური სტაბილურობისაკენ, არამედ საკუთარ მოქალაქეთა სულის ხსნისა და გადარჩენისკენ – ერთადერთი ამგვარი ინსტიტუცია უფლის ქალაქი, ან – სხვაგვარად – ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაა. გარკვეული აზრით, პლატონისეული პოლისი ქრისტეს ეკლესიის ანტიციპაციას წარმოადგენს.

აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძნული ფილოსოფიის ქრონოტოპოსი – ესაა მონასტრები ეკლესიის გარეშე. საქმე ისაა, რომ თუკი ფილოსოფიური ცხოვრების წესი – ესაა მჭვრეტელობითი ცხოვრება, როცა თავისუფალი ადამიანი არ მონაწილეობს ქალაქის ცხოვრებაში, მაშინ ბერძენი ფილოსოფოსი უფრო ასკეტ ბერსა თუ იოგინს მოგვაგონებს, ვიდრე ახალი დროის აკადემიურ მეცნიერს.

ანტიკურ პერიოდში ფილოსოფოსები, ძირითადად, ცხოვრობდნენ, როგორც ერთიანი თემი (community), სადაც ხშირ შემთხვევაში ყველაფერი საერთო იყო. ცხოვრების ერთიანი რიტმი – საზოგადო მსხვერპლშეწირვები, ლოცვები, აგრეთვე, ასკეზის საერთო წესები ნამდვილ მონასტრებს მოგვაგონებდა. პლატონური აკადემია, სტოა, ეპიკიურელები და სხვა ფილოსოფიური სკოლები სწორედ ამგვარ საძმოებს წარმოადგენს

არ უნდა დავივიწყოთ, ასევე, არც დამფუძნებლის კულტი: თითოეული ფილოსოფიური სკოლა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა სკოლის დამფუძნებელს – შესაბამისი რიტუალებისა და ეპითეტის – „ღვთაებრივი“ – მეშვეობით. ამავე დროს, ცალკეულ სკოლაში იწერებოდა დამფუძნებლის (ან/და სკოლის გამორჩეული წარმომადგენლის) ცხოვრების შესახებ შესაბამისი ტექსტი (მაგალითად, „პითაგორას ცხოვრება“, „პლოტინის ცხოვრება“, „პროკლეს ცხოვრება“, „აპოლონიოს ტიანელის ცხოვრება“ და ა. შ.), რომელიც ქრისტიანულ აგიოგრაფიასა თუ ენკომიებს მოგვაგონებს.

საზოგადოდ, ბერძნულ ფილოსოფიურ სკოლას (სხვათა შორის, სკოლას აღნიშნავდნენ ტერმინით αιρεσις – „ერესი“ – „გამოყოფილის“, „კერძოს“, „ცალკეულის“ მნიშვნელობით, ხოლო ტერმინი δογμα ამა თუ იმ სკოლის მოძღვრებას აღნიშნავდა) შემდეგი ძირითადი ნიშნები ახასიათებდა: 1. ცხოვრების მჭვრეტელობითი წესი; 2. საკუთარი მოძღვრება/სწავლება – „დოგმა“; 3. დამფუძნებლის კულტი და გადმოცემები მის (და ამავე სკოლის სხვა მნიშვნელოვანი წარმომადგენლების) შესახებ; 4. დიალექტიკა – ლოგიკური დისკურსი; 5. საგანგებო ასკეზურ-

მედიტაციური ტექნეები – ჭვრეტის ხელოვნება; 6. ტექსტების შექმნა, მათი კითხვა, კომენტირება და მედიტირება. ცალკეულ სკოლას შეიძლებოდა აუცილებელი „პრერეკვიზიტიც“ ჰქონოდა: მაგალითად, გადმოცემის თანახმად, პლატონის აკადემიაში ვერავინ შევიდოდა გეომეტრიის ცოდნის გარეშე.

მაგრამ უმთავრესი მომენტი, რითიც ბერძნული ფილოსოფია და ბერძნული ფილოსოფიური სკოლები გამოირჩევა თანამედროვე ფილოსოფიისა და შესაბამისი აკადემიური ინსტიტუციებისაგან ისაა, რომ თითქმის ყველა ბერძნული ფილოსოფიური სკოლა ეყრდნობა ტრადიციასა და ტრადიციულ გადმოცემებს. როგორც შესანიშნავად გვიჩვენებს ამას იოზეფ პიპერი, ეს ტრადიცული გადმოცემები რელიგიური ხასიათისაა და რელიგიურ ნარატივებს წარმოადგენს. ამ აზრით, პლატონი, როცა ის „მითებს“ გვიყვება, არაფერს ახალსა და ორიგინალურს არ იგონებს. პლატონი ხშირად აღნიშნავს, რომ ის ეყდრობა ძველებს – მათ, ვინც სათავესთან დგანან: ისინი არიან – αρχαιοι, παλαιοι – „ძველები“, „სათავეებთან მდგარნი“ – მათ სწორედ ასე მოიხსენიებენ როგორც პლატონი, ისე – არისტოტელე.

ამიტომაც, როგორც შენიშნავს იგივე პიპერი, პლატონისეული „მითების“ ავტორი პლატონი სულაც არაა – ის იმეორებს იმ ამბებს, რაც ტრადიციით გადმოეცა. ოღონდ, საქმე ისაა, რომ პლატონი ხშირად ეყრდნობა არა ჰომეროსისეულ, არამედ სრულიად განსხვავებულ ტრადიციას, რადგანაც ბერძნული ტრადიციული რელიგიური ნარატივები არაჰომოგენური ბუნებისაა და არ წარმოადგენს ერთ მთლიან კორპუსს განსხვავებით, მაგალითისათვის, ბიბლიისა თუ ვედებისაგან. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ჰომეროსის პლატონისეული კრიტიკის საფუძველიც. პლატონი, პიპერის თანახმად, რელიგიური ფილოსოფოსია, რომელიც ავტორიტეტულ ტრადიციას – „ძველების გადმოცემას“ ეყრდნობა და, საზოგადოდ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არარელიგიური ან ანტირელიგიური ფილოსოფია სპინოზამდე არც არსებობს.

ასე რომ, პლატონი ეყრდნობა ტრადიციას – ტრადიციულ რელიგიურ გადმოცემებს: „გორგიასში“ ესაა გადმოცემები საიქიო მიგების შესახებ, „ფედონში“ – მიღმური (საიქიო) სამყაროს აგებულების შესახებ, „ტიმეოსში“ – სამყაროს (კოსმოსის) შესაქმის (მოწყობის) შესახებ, „ნადიმში“ – ადამიანის შექმნისა და მისი დაცემის შესახებ (თანაც პაროდიულ-გროტესკული სახით – კომიკოსი არისტოფანეს სიტყვაში), იმავე „სახელმწიფოს“ ფინალში კი – ისევ საიქიო მიგების შესახებ.

თავად ფილოსოფიაც არაა ადამიანის მიერ მოგონილი რამ – ის ღმერთების საჩუქარი, ძღვენი და საკრალური ტრადიციაა: ფილოსოფია, პლატონის მიხედვით, გადმოგვცეს თვითონ

> ... ღმერთებმა ვინმე პრომეთეს მეშვეობით... ძველებმა, რომლებიც ჩვენზე უკეთესნი იყვნენ და რომლებიც უფრო ახლოს სახლობდნენ ღმერთებთან, გადმოგვცეს თქმულება (ამბავი), რომელიც გვეუბნება, რომ ყოველივე ის, რომლის შესახებაც ამბობენ, რომ ის მარადიული ყოფიერებაა, შედგება ერთისა და მრავლისაგან და თავის თავში ერთურთში შეზრდილ საზღვარსა და უსაზღვრობას მოიცავს... (ფილებოსი, 15ed).

ამიტომაც, როგორც პიპერი შენიშნავს, ბერძნული საკრალური ტრადიცია სხვა არაფერია, თუ არა რელიგიური გამოცხადება, ხოლო ფილოსოფია თავად ამ საკრალური ტრადიციის განუყოფელი ნაწილია.

ფილოსოფია, როგორც მოქცევის ხელოვნება

პლატონი თავის „სახელმწიფოში“ (VII თავის დასაწყისი, 514b-517d) ფილოსოფიას „მოქცევის ხელოვნებას“ (τεχνη της περιαγογης) უწოდებს და მას მღვიმიდან მზის სამყაროში გამოსვლას ადარებს. პლატონისეული მღვიმის ნარატივი ესაა მაგალითი-ხატი (სახე, „ქეისი“ – παραδειγμα, εικων – ბერძნულად), რისი მეშვეობითაც, პლატონის აზრით, აღიწერება ჩვენი ნამდვილი ადამიანური მდგომარეობა.

თითოეული ჩვენგანის ბუნებრივი მდგომარეობა მღვიმეში მოხვედრილი იმ მონების ყოფას ჰგავს, რომელთაც ხელ-ფეხი შეკრული აქვთ და თავსაც კი ვერ აბრუნებენ, რომ გამოქვაბულის შემოსასვლელისაკენ მოიხედონ. ისინი იძულებულნი არიან, გამოქვაბულის კედელს უყურონ. შემოსასვლელთან კი ცეცხლია დანთებული, რომელიც დროდადრო აგიზგიზდება, ხოლო დროდადრო მინავლდება ხოლმე. როცა ცეცხლი აგიზგიზდება, მონები გამოქვაბულის კედლებზე ჩრდილებს ხედავენ. საიდანაა ეს ჩრდილები? საქმე ისაა, რომ გამოქვაბულის შესასვლელის გასწვრივ ხანდახან ადამიანები აივლიან და ჩაივლიან. მათ რაღაც ნივთები მიაქვთ და მოაქვთ. როცა ცეცხლი აგიზგიზდება, გამოქვაბულის კედელზე სწორედ ამ ნივთთა ჩრდილები გამოჩნდება ხოლმე. მონებს ჰგონიათ, რომ ჩრდილების სახით სინამდვილეს ხედავენ. მღვიმეში მონები დაკავებულნი არიან იმაზე დაკვირვებით, თუ რომელი მხრიდან გამოჩნდება ესა თუ ის ჩრდილი. თუ ვინმე გამოიცნობს, ის ჯილდოვდება კიდეც.

> – გლავკონ, – ეკითხება თავის თანამოსაუბრეს სოკრატე, – ვინმემ რომ ამ მონებს უთხრას, რომ ისინი სინამდვილეში ჩრდილებს ხედავენ, ხოლო ჭეშმარიტი ყოფიერების დანახვას მზეზე გასვლა სჭირდება, დაჯერებენ ამას?
> – რა თქმა უნდა, არა, ჩემო სოკრატე...
> – რას უზამენ ასეთ მხსნელს, რომელიც მოინდომებდა, რომ მათთვის

ჭეშმარიტება დაენახვებინა? ხომ მოკლავდნენ?
– ცხადია, მოკლავდნენ...

მაშასადამე, მონები მღვიმეში ხედავენ ანარეკლებსა თუ ჩრდილებს და ჰგონიათ, რომ სინამდვილეს ხედავენ. სწორედ ასეთია, პლატონის მიხედვით, ჩვენი – ადამიანური მდგომარეობა. მხოლოდ ფილოსოფიას ძალუძს ჩვენი მღვიმიდან გამოყვანა და ჭეშმარიტი ყოფიერებისაკენ მიბრუნება-მოქცევა. პლატონი ამის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინს იყენებს: τεχνη της περιαγογης (მობრუნების, მოქცევის ხელოვნება, 517c), επιστροφη (შემობრუნება, მიბრუნება), αναβασις (აღმასვლა, 517b4).

სოკრატე შენიშნავს, რომ მთელი ეს ნარატივი (მღვიმე და მღვიმიდადან მზეზე გამოსვლა) – ესაა *ეიკონ* – „ხატი", „მსგავსება", „სახე". კერძოდ, ციხე (მღვიმე) – ესაა ხილული სამყარო, სადაც ცეცხლი მზის როლს ასრულებს, ხოლო მზის სამყარო – ესაა სულის მიერ ჭეშმარიტი ყოფიერების ჭვრეტა – ჭვრეტა იმ ნივთებისა, რომელიც მხოლოდ გონებით საწვდომნი არიან (517b3-5).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მღვიმის ნარატივი – ესაა „ქეისი", მაგალითი და, ამ აზრით, ალეგორია ჩვენი მიწიერი ამქვეყნიური მდგომარეობისა. ფილოსოფიის გარეშე ჩვენ ვგავართ ციხეში ჩაყრილ მონებს, რომლებსაც არაფერი ესმით და ვერაფერს ხედავენ. მხოლოდ ფილოსოფიას ძალუძს ჩვენი გამოყვანა მღვიმიდან – ხილული სამყაროდან, სადაც ყველაფერი ქმნადობაშია და არაფერს აქვს ნამდვილი ყოფიერება – ჭეშმარიტი რეალობისაკენ, ნამდვილი ყოფიერებისაკენ.

მღვიმის სამყაროდან ტრანსცენდირება შესაძლებელია მჭვრეტელობითი ცხოვრების სხვადასხვა ფორმის (ტრადიციის) მეშვეობით: ბერძნულ კულტურაში ეს ხდებოდა ფილოსოფიის, ხოლო ინდურში – დარშანას გზით. საქმე ისაა, რომ ფილოსოფიაცა და დარშანაც (*დარშანა* სანსკრიტზე ნიშნავს ჭვრეტას, ისევე როგორც – ბერძნული *თეორია*) გულისხმობს ცხოვრების გარკვეულ წესს, რომელიც მჭვრეტელობითი ცხოვრებით გამოიხატება; ხოლო უჭვრეტენ გარკვეული ტექნიკის მეშვეობით, რომელსაც ინდურ კულტურაში იოგა, ხოლო ბერძნულში – ასკეზა და მელეტე ეწოდება. ორივე სიტყვა, ფაქტობრივად, ერთსა და იმავეს აღნიშნავს და ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ვარჯიში". სწორედ ამ სულიერი ვარჯიშების გზით ასკეტი-ფილოსოფოსი, ან იოგინი უჭვრეტს ჭეშმარიტ რეალობას. მთელ ამ პროცესს პლატონი ფილოსოფიურ აღზრდას – παιδεια – უწოდებს, რაც, საბოლოდ, ადამიანის მოქცევით (conversion) – ეპისტროფეთი სრულდება.

ამ აზრით, მღვიმის ალეგორია – ესაა მოქცევის პარადიგმული ნარატივი – ფილოსოფიური *პაიდეაიის* ხატი. პლატონი შემდეგნა-

ირად აღწერს მღვიმის სიბნელიდან მზის სინათლემდე აღმასვლას: სული, რომელიც ჩაძირულია შეგრძნებებსა და წარმოდგენებში, ჰგავს თვალს, რომელიც მიეჩვია სიბნელეს და მზის შუქს ვერ უყურებს. ამიტომაც, ჯერ თვალმა უნდა უცქიროს ჩრდილებს, შემდეგ ნივთების ანრეკლებს წყალში, ამის შემდეგ – თავად ნივთებს, ხოლო ბოლოს – თავად მზეს (სახელმწიფო, 516b). ასევე, სულიც ჯერ ისეთი დამხმარე ხელობების მეშვეობით, როგორებიცაა არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა, ნელ-ნელა ზევით მიიწევს, რაც, საბოლოოდ, თავისთავადი ჭეშმარიტების ჭვრეტით მთავრდება დიალექტიკური მეთოდის მეშვეობით (532e–533d). ეს უკანასკნელი ოთხი ნაწილისაგან შედგება. ესენია: ცოდნა (επιστεμη), გაგება (διανοια), რწმენა (πιστις) და მიმსგავსება (εικασις). ბოლო ორს მთლიანობაში შეიძლება ვუწოდოთ მიჩნევა (δοξα), ხოლო პირველ ორს – აზროვნება (νοεσις).

მაშასადამე, პლატონის თანახმად, ფილოსოფიის ველი თავის თავში მოიცავს ხუთ ხელობას *(ტეხნე)*. ესენია: არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა და დიალექტიკა, რომელიც თავად ფილოსოფიაა. ამ პლატონისეულ სისტემას სავსებით სამართლიანად შეგვიძლია pentem artes liberales ვუწოდოთ. ამ სისტემიდან გატანილია გრამატიკა, რომელიც იმის გამო, რომ მიმეტური პოეზია (ჰომეროსი) მცველებს არ ესწავლებათ, როგორც დამხმარე დისციპლინა, აზრს კარგავს, და რიტორიკა, რომელიც, როგორც სახიფათო იარაღი სოფისტების ხელში, მცველებისათვის მავნებელია.

არისტოტელესთან განსხვავებული ვითარება გვაქვს. სტაგირიტმა, თავისი მასწავლებლისაგან განსხვავებით, რიტორიკის შესახებ წიგნი დაწერა, რაც ამ უკანასკნელის ლეგიტიმაციას ნიშნავდა, ხოლო თავის „პოეტიკაში“ ჰომეროსის უალტერნატივო აპოლოგიით გზა გაუხსნა გრამატიკასაც. რაც შეეხება ფილოსოფიისა და დიალექტიკის ურთიერთმიმართებას, არისტოტელე „მეტაფიზიკაში“ აღნიშნავს:

> ...დიალექტიკოსები და სოფისტები ფილოსოფოსებად ასაღებენ თავს – არადა, სოფისტიკა მხოლოდ მოჩვენებითი სიბრძნეა; ასევე, დიალექტიკა მსჯელობს ყოველივეზე, ხოლო ის, რაც ყოველივეს საერთო აქვს – ყოფიერებაა. მსჯელობენ ამ ყოველივეზე სწორედ იმიტომ, რომ ის [ყოველივე – მთლიანობა] ფილოსოფიის საკუთრებაა. მართლაც, დიალექტიკაცა და სოფისტიკაც ფილოსოფიის სფეროში ტრიალებენ, მაგრამ ფილოსოფიას დიალექტიკისაგან განასხვავებს თავისი შესაძლებლობის გამოყენების გზა, ხოლო სოფისტიკისაგან – მჭვრეტელობითი ცხოვრების არჩევანი; დიალექტიკა მსჯელობს იმის შესახებ, რასაც ფილოსოფია შეიცნობს, ხოლო სოფისტიკა მოჩვენებითი ფილოსოფიაა და არა – ნამდვილი“ [მეტაფიზიკა, 1004b 20-25].

როგორც ვხედავთ, არისტოტელე ზედმიწევნით ზუსტად გვიჩვენს ამ ტრიადის – ფილოსოფია/დიალექტიკა/სოფისტიკა – ურთიერთმიმართებას: რასაც ფილოსოფია შეიმეცნებს, დიალექტიკა (ლოგიკა) იმის შესახებ მხოლოდ მსჯელობს ლოგიკური არგუმენტაციის მეშვეობით; ხოლო, რაც შეეხება სოფისტიკას, განსხვავებით დილექტიკისაგან, ის არ წამოადგენს თავისუფალ ხელობას, ტექნეს, რადგანაც სოფისტები თავიანთი ხელობისაგან სარგებელს ნახულობენ. დიალექტიკასა და ფილოსოფიას ცხოვრების საერთო წესი აქვთ (მოცალეობა და მჭვრეტელობითი ცხოვრება), ხოლო განსხვავება ისაა, რომ ფილოსოფია ოდენ ლოგიკურ არგუმენტაციაზე არ დაიყვანება – ფილოსოფია გულისხმობს ყოფიერების მჭვრეტელობით შეცნობას – მეტაფიზიკურ მედიტაციას, რომელიც მხოლოდ ლოგიკურ-ტექსტობრივი გამონათქვამების ერთობლიობა არაა.

ამავე დროს, სოფისტიკა მოჩვენებითი ფილოსოფიაა, რადგანაც ის შეხედულებათა მანიპულაციას წარმოდგენს რიტორიკული ტექნეს მეშვეობით. სწორედ სოფისტების მიერ რიტორიკის დისკრედიტაციის გამო არ შეიტანა პლატონმა რიტორიკა თავისუფალ ტექნეთა ნუსხაში.

რაც შეეხება დიალექტიკას, ცხადია, ის ცნებათა დეფინიციასა და მათ გამიჯვნას გულისხმობს, მაგრამ, ამავე დროს, ის მხოლოდ საშუალებაა. დიალექტიკისაგან განსხვავებით, ფილოსოფია, როგორც აქტი, მჭვრეტელობითი ტოპოსების – იდეების (ეიდოსების) ჭვრეტის ტექნეა, რაც იმას გულისხმობს, რომ ფილოსოფია, უპირველს ყოვლისა, „სულიერების ხელოვნებაა."

აქ ჩნდება ერთი საგულისხმო კითხვა – სად ხედავენ თავად ბერძნები ფილოსოფიის ადგილს მსოფლიო კულტურის ჭრილში? სად ავლებენ ანალოგიას სხვა კულტურებთან? რას შეესაბამება ფილოსოფია, მათი აზრით, სხვა კულტურულ ტრადიციებში?

როგორც გვახსოვს, არისტოტელე ერთმნიშვნელოვნად ავლებს ანალოგიას ფილოსოფოსებსა და ეგვიპტელ ქურუმებს შორის ჩვენ მიერ უკვე ზემოთ ციტირებულ პასაჟში „მეტაფიზიკიდან", როცა ის შენიშნავს, რომ „მათემატიკური ხელობები ეგვიპტეში მოიგონეს ქურუმებმა, სადაც მათ ჰქონდათ საკმარისი დრო მოცალეობისათვის" (მეტაფიზიკა, 981b20).

არანაკლებ მნიშვნელოვანია დიოგენე ლაერტელის მოსაზრებები, რადგანაც ეს მისი პირადი პოზიცია კი არაა, არამედ – ანტიკურ კულტურაში გაბატონებული „საერთო ადგილების" ნაკრები. კერძოდ, ლაერტელი შენიშნავს:

> ზოგიერთნი მიიჩნევენ, რომ ფილოსოფია ჯერ ბარბაროსებმა დაიწყეს. კერძოდ, სპარსელებს ჰყავდათ მაგები, ბაბილონელებსა დ ასი-

> რიელებს – ქალდეველები, ინდოელებს – გიმნოსოფისტები, ხოლო კელტებსა და გალებს – ე. წ. დრუიდები და სემნოთევსები... ეგვიპტელები ირწმუნებიან, რომ ფილოსოფიის დამწყები ნილოსის ძე ჰეფესტოსია, ფილოსოფიისა, რომელსაც ქურუმები და წინასწარმეტყველები ინახავენ (დიოგენე ლაერტელი, I, 1).

თავისი ტრაქტატის შესავალში დიოგენე ვრცლად საუბრობს სპარს მაგებსა და ეგვიპტელ ქურუმებზე, შედარებით უფრო მოკლედ – გიმნოსოფისტებსა და დრუიდებზე. რატომ ათავსებს დიოგენე ფილოსოფოსებსა და ფილოსოფიას ამგვარ კონტექსტში? ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პასუხი სავსებით ცხადი ხდება – ბერძნებისათვის ფილოსოფია სულიერების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს მოცალეობასა და მჭვრეტელობას – ასკეზურ-მედიტაციურ სულიერ ვარჯიშებს და ტრადიციული რელიგიური გადმოცემების პატივისცემას, რადგან ერთ-ერთი ამგვარი გადმოცემა მათთვის ფილოსოფიაც იყო. ამიტომ, სადაც ბერძენი ხედავდა ამ ელემენტების (მოცალეობა, მჭვრეტელობითი ცხოვრება, ასკეზურ-მედიტაციური სულიერი ვარჯიშები, ტრადიციული რელიგიური გადმოცემები) ერთიანობას, იქ იყო მისთვის ფილოსოფიასაც. დიოგენე იმოწმებს კლიტარქოსს, რომელიც ამგვარად ახასიათებს გიმნოსოფისტებსა (სიტყვასიტყვით – „შიშველი ბრძენები", იგულისხმებიან იოგინები) და დრუიდებს:

ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ ფილოსოფია ბარბაროსებმა დაიწყეს, აღწერენ იმასაც, თუ როგორი სახე ჰქონდა მას თითოეულ [ტომში]; ისინი ამბობენ, რომ გიმნოსოფისტები და დრუიდები ენიგმური მეტყველებით ფილოსოფოსობენ, პატივს მიაგებენ ღმერთებს, ბოროტებას არ ჩადიან და ვაჟკაცობაში [სულიერად] ვარჯიშობენ; კლიტარქოსი თავის ნაშრომის მეთერთმეტე წიგნში იმისაც აღნიშნავს, რომ გიმნოსოფისტებს სიკვდილიც კი არაფრად მიაჩნდათ (დიოგენე ლაერტელი, I, 6).

როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშეა მჭვრეტელობით ცხოვრებასთან დაკავშირებულ ტოპოსთა სრული სპექტრი: ენიგმური მეტყველება იმას მიუთითებს, რომ დრუიდებისა და გმინოსოფისტების დისკურსი განსხვავდება ჩვეულებრივი ყოველდღიური მეტყველებისაგან, ღმერთების პატივისცემა ტრადიციაზე აპელირებაა, ბოროტების არ ჩადენა ეთიკურ ასპექტზე მიუთითებს, ხოლო „ვაჟკაცობაში სულიერად ვარჯიშობა" სხვა არაფერია, თუ არა ტექნიკური ტერმინი, რომელიც სწორედ ასკეზურ-მედიტაციურ სულიერ ვარჯიშებს (ტექნეებს) აღნიშნავს. ამავე დროს, ვაჟკაცობა ერთ-ერთია ოთხი მთავარი სიქველიდან (სიბრძნე, სამართლიანობა, ვაჟკაცობა, ზომიერება: σοφια δικαιωσυνη, ανδρεια, σοφροσυνη), რომელზეც საუბრობს პლატონი (მაგალითად, სახელმწიფო, 427e) და რომელი არა მხოლოდ ბერძნული კულტურის

საერთო ადგილია, არამედ ქრისტიანის ოთხ ძირითად ზნეობრივ სათნოებაშიც შედის. „ვაჟკაცობაში ვარჯიში“ და „სიკვდილის არაფრად ჩათვლა“ სწორედ ისაა, რასაც სოკრატე არა მხოლოდ ასწავლის, არამედ რასაც თვალნათლივ უჩვენებს თავის მოსწავლეებს სიკვდილის დღეს და რაც ასე ზუსტად აქვს აღწერილი პლატონს იმავე „ფედონში“.

მიუხედავად იმ თვალსაზრისა, რომ ფილოსოფია საკუთრივ ბერძნული წარმომავლობისაა (დიოგენე, I, 5), დიოგენე ლაერტელიც მიიჩნევს, რომ ფილოსოფია შეესაბამება სხვა კულტურებში იმას, რასაც სულიერების ფორმები, ტრადიციები და ინსტიტუციები შეიძლება ვუწოდოთ.

მაშასადამე, ფილოსოფიისა და ფილოსოფოსის ადგილის ბერძნული გაგება არსებითად განსხვავდება ახალევროპული პოზიციისგან, სადაც ფილოსოფია გაგებულია, როგორც რაციონალური დისკურსი და საუნივერსიტეტო დისციპლინა, როგორც კონცეპტების შექმნა ან/და ცნებათა სისტემატიზაცია.

ამიტომაც, საგულისხმოა, როცა კარლ იასპერსი „ღერძული დროის“ საკუთარი კონცეპტის დასაფუძვლებას შეეცადა, ბერძნული ფილოსოფია ინდური, ჩინური და იუდაური ტრადიციების შესაბამისი სულიერი ფორმების გვერდით მოათავსა, რითიც, თავისდა უნებურად, ბერძნული თვალსაზრისი გაიმეორა.

საიქიო მიგების ნარატივების პოლიტიკური ესქატოლოგია

ჭვრეტა გულისხმობს მჭვრეტელის (მჭვრეტელობითი მდგომარეობის), მჭვრეტელობითი ტოპოსის, მჭვრეტელობის ფორმისა და მჭვრეტელობითი ქრონოტოპოსის არსებობას. ე. ი. გვაქვს ოთხი დისპოზიცია: ვინ? რას (ვის)? როგორ? სად და როდის? მაშ ასე, აქ ჩვენ წინაშეა: 1. მჭვრეტელი და მჭვრეტელობითი მდგომარეობა (ექსტაზი, ტრანსი, სამადჰი, ნირვანა, ცოდნა და რწმენა, თეოზისი და ა.შ.); 2. ჭვრეტის ტოპოსი; 3. ჭვრეტის ფორმა – საშუალება – ხელოვნება; 4. ჭვრეტის დრო-სივრცე (ქრონოტოპოსი).

ერთ შემთხვევაში, დემიურგი (ვინ) უჭვრეტს კოსმოსის პარადიგმას (რას) – ეიდოსს, რომელიც, მჭვრეტელობითი ტოპოსია (ტიმეოსი, 28ბ). დემიურგის ჭვრეტის აქტი, თავის მხრივ, არის პარადიგმა-ნიმუში, რომელსაც ბაძავს ფილოსოფოსი.

მეორე შემთხვევაში ფილოსოფოსი უჭვრეტს ჭეშმარიტ ყოფიერებას, რომელიც თავად არის ღმერთი (ფედონი, 69d). ჭვრეტა (θεορια) გულისხმობს მჭვრეტელობით ხელოვნებას – მედიტაციას, მედიტაციურ ტექნეს. ხოლო ჭვრეტის ქრონოტოპოსი თავად ფილოსოფიაა,

როგორც ტრადიცია, რომელიც ღმერთების ძღვენია ადამიანებისადმი (ფილებოსი, 15ed).

თვალი უჭვრეტს რაიმე ნივთს, მაგრამ, პლატონის მიხედვით (სახელმწიფო, 508be), არის რაღაც მესამე, რომელიც შესაძლებელს ხდის იმას, რომ თვალმა დაინახოს მოცემული ნივთი. ეს მესამე ხილულ სამყაროში არის მზე და მზის სინათლე. არახილულ სამყაროში კი ამგვარი მზე არის სიკეთის იდეა – სიკეთის იდეის შუქში ხდება შესაძლებელი, რომ გონებამ უჭვრიტოს ჭეშმარიტ ყოფიერებას. აქედან გამოდინარე, ფილოსოფია – ესაა ის შინაგანი სინათლე – სიკეთის ეიდოსის ანარეკლი, რომელიც თითოეულ ადამიანშია. სწორედ ის იძლევა საშუალებას, რომ სულმა კვლავ უჭვრიტოს ჭეშმარიტ ყოფიერებას.

მაგრამ ჭვრეტა ხდება მჭვრეტელობითი ხელოვნების, ჭვრეტითი ფორმის საშუალებით. ამგვარი ფორმებია – არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა და დიალექტიკის ხელოვნება (*ტექნე*). თითოეული მათგანი მოწოდებულია იმისაკენ, რომ შევძლოთ ჭეშმარიტი ყოფიერების დანახვა. მაგალითისათვის, გეომტერიას ამგვარი დანიშნულება აქვს:

_ ...გვეხმარება თუ არა ის [გეომეტრია] სიკეთის ეიდოსის ჭვრეტაში? – დიახაც, – ვიტყვით ჩვენ, – გვეხმარება, რომ სული მიბრუნდეს იმ ადგილისაკენ (ტოპოსისაკენ – των τοπων μεταστρεφεθαι), სადაც ყოფიერების უდიდესი ნეტარებაა, სწორედ ნებისმიერი საშუალებით ამის ჭვრეტისაკენ უნდა ისწრაფოდეს სული! ... ...მაშასადამე, თუ გეომეტრია ყოფიერების ჭვრეტას (ουσιαν θεασασθαι) გვაიძულებს, ის გამოდგება, ხოლო თუ – წარმოქმნადისას (γενεσιν), მაშინ – არა... (სახელმწიფო, 526e)

ხუთივე ხელოვნება, ან სწავლება-დისციპლინა (μαθεμα) ყოფიერების ჭვრეტისაკენაა მიმართული და, საკუთრივ, „ფილოსოფიის ციკლს“ ქმნის, მაგრამ დიალექტიკა მაინც უპირატესია. ამიტომაც, ხუთივე (არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა, დიალექტიკა) ერთად ფილოსოფიის დიალექტიკურ გზას შეადგენს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჭეშმარიტი ყოფიერება – ესაა ჭვრეტის ტოპოსი, რომელსაც უჭვრეტს ფილოსოფოსი სიკეთის ეიდოსის ქრონოტოპოსში დიალექტიკის (ჭვრეტის გზა, ფორმა) მეშვეობით, ხოლო ეს სიკეთის *ეიდოსი* თავად მჭვრეტელი-ფილოსოფოსის (და – ნებისმიერი ადამიანის) სულში არსებობს, როგორც შინაგანი სინათლე.

ამრიგად, პლატონი გვთავაზობს მედიტაციის რამდენიმე გზას. პირველი, ესაა preparatio ad mortem – სიკვდილისათვის მზადება, რომელიც დაწვრილებით აღწერილია „ფედონში“. სოკრატეს ცხოვრების

უკანასკნელი დღე თვალსაჩინო მაგალითია სიკვდილის წინ მჭვრეტელობითი ცხოვრების ამ საბოლოო კრისტალიზაციისა.

მეორე გზა – ესაა სიყვარული, მიჯნურობა. მიჯნურობა, როგორც ფილოსოფია და ფილოსოფია, როგორც მიჯნურობა – ღვთაებრივი სიშმაგის ყველაზე უფრო ადეკვატური გამოვლინება. ესა გზა წარმოდგენილია „ნადიმსა“ და „ფედროსში“.

მესამე გზა – ესაა დიალექტიკა, როგორც მედიტაციური ხელოვნება: მრავალში ერთის, ხოლო ერთში სიმრავლის ჭვრეტა. ეს გზა წარმოდგენილია „პარმენიდეში“. საზოგადოდ, პლატონს მიაჩნია, რომ ესაა ფილოსოფიის ყველაზე რთული ნაწილი (სახელმწიფო, 534b).

ჭვრეტის აქტი გულისხმობს მჭვრეტელობით ტოპოსებზე კონცენტრაციას. რა არის მჭვრეტელობითი ტოპოსი (მჭვრეტელობითი ტოპოსები)? ერთ შემთხვევაში – „სამართლიანობა“, როგორც ასეთი („გორგიასი“, „სახელმწიფო“), სხვა შემთხვევაში – „მშვენიერება“ („ფედროსი“), ან – „საზღვარი“ (περας „ფილებოსი“), „ერთი“ („პარმენიდე“), „სიკეთე“ („სახელმწიფო“) და ა. შ. ამ ტოპოსებს პლატონი მარადიულ პარადიგმებს – ეიდოსებს უწოდებს. მჭვრეტელობითი ტოპოსები სხვა არაფერია, თუ არა პლატონის ცნობილი იდეები – ეიდოსები. დროდადრო პლატონი იძლევა ამ ტოპოსების ვიზუალიზიციას ნარატივების სახით – „ტიმეოსში“ ესაა კოსმოსის მოწყობის ნარატივი, ხოლო „სახელმწიფოში“ – მღვიმის ნარატივი. „ტიმეოსი“ გვიჩვენებს დემიურგს – მომწყობს, რომელიც უჭვრეტს კოსმოსის მარადიულ ეიდოსს და ამის მიხედვით ალაგებს და აწყობს ხილულ და მატერიალურ კოსმოსს.

ეს ნარატივები სხვა არაფერია თუ არა მჭვრეტელობითი ტოპოსების – „მარადიული ეიდოსების“ (პლატონის ტერმინოლოგიით) – თხრობითი გაშლა-გაფართოება. ტრადიციული რელიგიური გადმოცემები, რომლებსაც ასე უხვად იყენებს პლატონი, ასევე, მჭვრეტელობითი ტოპოსების გაშლილ ვარიაციებს წარმოადგენს. კერძოდ, „სახელმწიფოს“ ფინალში მოთხრობილი პამფილიელი ეროსის ვიზიონი (ხილვა) – ესაა საიქიო მიგების ნარატივი სამართლიანობის შესახებ, რომელიც უნდა დავიმახსოვროთ, რადგან მას ჩვენი ხსნა და გადარჩენა შეუძლია. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ავტორიტეტულ ტექსტზე მედიტირებისაკენ მოწოდება, როგორც მეოთხე ფილოსფიური გზა. ესაა, გარკვეული აზრით, პლატონისეული Lectio divina.

ქრისტიანულ ტრადიციაში Lectio divinaL მედიტაციური ლოცვის ნაირსახეობაა. გვიგო (Guigo) II კარტუზიელი (†1188?) თავის ტრაქტატში Scala paradisi („სამოთხის კიბე“, მეორენაირად – Scala claustralium, – „ჩაკეტილთა კიბე“) მის ოთხ საფეხურს გამოყოფს: პირველი – ესაა

კითხვა, მეორე – მედიტაცია, განაზრება, მესამე – ლოცვა, ხოლო მეოთხე – ჭვრეტა, მჭვრეტელობა.

საგულისხმოა, რომ მედიტაციური კითხვის ეს სახე ანტიკურობაშიც არსებობს, სადაც, ასევე, ხდებოდა ერთი რომელიმე ფილოსოფიური გამონათქვამის (აპოფთეგმის) ამორჩევა. ცხადია, ანტიკურობაში მედიტირება მიმდინარეობდა შესაბამისი ფილოსოფიური სკოლის ავტორიტეტულ ტექსტზე. გვიანდელ ფილოსოფიურ სკოლებში (განსაკუთრებით ეს ეხებათ ანტიკური კულტურის ბოლო პერიოდის პლატონიკოსებს) სწორედ ამ სულიერი პრაქტიკიდან ამოიზარდა კომენტატორული ტრადიცია, სადაც ავტორიტეტულ ტექსტს უკვე პლატონისა და არისტოტელეს კორპუსები წარმოდგენს.

პლატონთან, რომელიც ტრადიციის დასაწყისშია, მედიტირება ავტორიტეტულ რელიგიურ გადმოცემებზე მიმდინარეობს – უფრო ზუსტად, პლატონი უკომენტაროდ იძლევა ამ გადმოცემებს, როგორც დასამახსოვრებელ (გასამეორებელ – ანუ სამედიტაციო) მაგალითებს.

მაშასადამე, პლატონური სულიერება შემდეგ მედიტაციურ-მჭვრეტელობით „ტექნეებს“ მოიცავს: პირველი ესაა – „სიკდილისადმი მზადება“, როგორც ასკეტურ-მედიტაციური გზა, რაც გულისხმობს პათოსების დათგრუნვას, ვნებებისაგან განწმენდას, შესაბამის დიეტეტიკას და ა. შ. მეორე – სიყვარული, მიჯნურობა, როგორც სულიერ-მჭვრეტელობითი ცხოვრების გზა; მესამე – დიალექტიკა, როგორც ერთისა და სხვის (სიმრავლის) ჭვრეტა; დაბოლოს, მეოთხე – ავტორიტეტული ტრადიციული რელიგიური გადმოცემის დამახსოვრება და მასზე მედიტირება.

აქ, რა თქმა უნდა, წამოიჭრება ამგვარი კითხვა – რატომ მხოლოდ ოთხი მედიტაციურ-მჭვრეტელობითი ტექნე და არა – მეტი (ან – ნაკლები)? რატომ არ განვიხილავთ კოსმოსის ჭვრეტას, ან კოსმოსის მოწყობას (შექმნას), საზღვრისა და უსაზღვრობის ჭვრეტას, სამართლიანობისა და სიკეთის ჭვრეტას, როგორც ცალკეულ მედიტაციურ-მჭვრეტელობით სავარჯიშოსა თუ ხელოვნებას?

ჩემი აზრით, პასუხი საკმაოდ მარტივია. საქმე ისაა, რომ სიკვდილი და სიყვარული, უფრო ზუსტად, სიკვდილისადმი მზადება და სიყვარული – ესაა ორი ძირითადი ექსისტენციური მომენტი, რომელიც ამა თუ იმ სახით ფორმალიზდება ნებისმიერ კულტურაში, თვით ისეთ კულტურაშიც კი, რომელსაც, პირობითად, შეიძლება „პოსტმოდერნისტული“, ან – „ახალგნოსტიკური“ – ვუწოდოთ (მეორე საკითხია, თუ რამდენად წარმოადგენს ამგვარ კულტურაში სიყვარულისა და სიკვდილისადმი დამოკიდებულება მედიტაციურ ხელოვნებას; ჩვენი აზრით, აქ უფრო მართვით-მენეჯმენტურ მიდგომაზე შეგვიძლია სა-

უბარი და არა – საკურივ მედიტაციურ ხელოვნებაზე, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა!).

დიალექტიკა, როგორც ერთში მრავლისა და მრავალში ერთის ჭვრეტა – ესაა ნებისმიერი ეიდოსის (სიკეთე, სამართლიანობა, მშვენიერება, კოსმოსი, საზღვარი და უსაზღვრობა და ა. შ.) ჭვრეტის მატრიცა – ამ აზრით, „პარმენიდეს“ შეიძლება მეტადიალოგი, ან, უფრო ზუსტად, მეტამედიტაციაც ვუწოდოთ.

რაც შეეხება ტრადიციულ გადმოცემაზე მედიტირებას, როგორც თავისებურ ანტიკურ Lectio divina-ს, აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: არც სამყაროს წარმოშობა (თუ შექმნა) და არც მისი დასასრული არ წარმოადგენს ჩემი „პირადი“ მჭვრეტელობის ობიექტს. ამისი ჭვრეტა, გარკვეული ტრადიციის გარეშე, საზოგადოდ, შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ნებისმიერი მჭვრეტელობითი მედიტაცია, ნებისმიერი სულიერი სავარჯიშო თუ ვარჯიში გარკვეულ ტრადიციას, კულტურასა თუ კონტექსტს მოითხოვს, მაგრამ სამყაროს წარმოშობის, შექმნისა თუ აღსასრულის ჭვრეტა წარმოუდგენელია გარკვეული ნარატიული ტრადიციის არსებობის გარეშე. ქრისტიანულ კულტურაში ამგვარი ტრადიცია ბიბლიური აპოკალიფსურ-ესქატოლოგიური დისკურსი და შესაბამისი ნარატივებია. იგივე შეიძლება ითქვას იუდაურ-კაბალისტური, ისლამურ-სუფისტური თუ, რამდენამდმე, ინდუისტური ტრადიციების შესახებაც. ძალიან სიმპტომურია, რომ გაუტამა სიდჰარტა შაკიამუნი, რომელსაც ბუდა (“გამოღვიძებული“) ეწოდა, თავის სანგჰას (სამონასტრო თემს) უკრძალავდა მედიტირებას სამყაროს წამოშობის შესახებ.

საქმე ისაა, რომ სამყაროს დასაწყისსა თუ აღსასრულზე მედიტირება გულისხმობს ისტორიის არა უბრალოდ ცნებისა თუ კონცეპტის არსებობას, არამედ ისტორიის ფენომენის განცდას და *ისტორიაში ყოფნას*. მაგრამ არსებობს სულიერი ტრადიციები, რომლებიც უარყოფენ ისტორიის ონტოლოგიურ სტატუსს. ბრაჰმანიზმი (ინდუიზმი) და ბუდიზმი სწორედ ამგვარი სულიერი ტრადიციებია. რაც შეეხება ბერძნულ ფილოსოფიას, ჩვენ სხვა ადგილას უკვე აღვნიშნეთ პლატონისეული გახსნილობა ისტორიის ჰორიზონტისადმი, მომავლისადმი და გვიანდელი პლატონიკოსების დახშულობა.

მაშასადამე, ტრადიციულ რელიგიურ გადმოცემებზე მედიტირება ისეთივე დამოუკიდებელი ფორმაა მჭვრეტელობისა, როგორც სიკვდილისადმი მზადება, სიყვარული, როგორც მიჯნურობა და დიალექტიკა (როგორც ნებისმიერი ეიდეტური მედიტაციის მატრიცა). სხვათა შორის, ამგვარი ეიდოსი შეიძლება იყოს თვითონ სიყვარულიც. სწორედ ეს განსხვავებაა „ფედროსსა“ და „ნადიმს“ შორის: „ფედროს-

ში“ სიყვარული – ესაა მიჯნურობა, ანუ – მედიტაციური ხელოვნება, ხოლო „ნადიმში“ სიყვარული – ესაა ეიდოსი, ანუ – მჭვრეტელობითი ტოპოსი. და რა დასკვნამდე მიდის პლატონი „ნადიმში“? – იქამდე, რომ სიყვარული არ არის ღმერთი, ისაა – შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის, რომელსაც ღმერთების ბრძანებები ადამიანებთან მიაქვს, ხოლო ადამიანთა თხოვნები და სურვილები – ღმერთებთან. სიყვარული, ეროსი – ესაა დაიმონი, ამიტომაც, ის, ერთი მხრივ, ჰგავს ფილოსოფიას, ხოლო მეორე მხრივ, – სიკვდილს (ეროსი არც უკვდავია და არც მოკვდავი, ის ნახევრად ღმერთია, რომელიც კვდება და თავიდან იბადება). ღმერთს არ სჭირდება არც ერთი და არც მეორე. ღმერთი უშუალოდ უჭვრეტს ჭეშმარიტებას, ეს ჩვენ გვჭირდება ფილოსოფიაც, სიკვდილიც (სიკვდილისადმი მზადება!) და სიყვარული, რათა ვემსგავსოთ ღმერთს.

პლატონი აბსოლუტურად, შეიძლება ითქვას, შემაძრწუნებლად ზუსტია: ქრისტეს განკაცების გარეშე სიყვარული, ლოცვა (მედიტაცია) და სიკვდილი მხოლოდ ადამიანის ხვედრია. მხოლოდ ქრისტეს განკაცება გვიჩვენებს, რომ შუამავალი თავად ღმერთია, რომ სიყვარული ღმერთია, რომ არსებობს ღვთაებრივი ლოცვა (მამაო ჩვენო და ევქარისტია), რომ ღმერთი შეიძლება ჩვენთვის მოკვდეს და აღდგეს, რის შემდეგაც ადამიანსაც ეძლევა განღმრთობის საშუალება.

შევაჯამოთ: პლატონური მჭვრეტელობითი ხელოვნება, მართლაც, ოთხი სახისაა: 1. სიკვდილისათვის მზადება, როგორც სამზადისი ჭეშმარიტების ჭვრეტისათვის (“ფედონი“); 2. სიყვარული, როგორც მიჯნურობა, როგორც სულიერი მედიტაცია (“ფედროსი“); 3. დიალექტიკა, როგორც ნებისმიერი ეიდოსის, როგორც მჭვრეტელობითი ტოპოსის, ჭვრეტა (“პარმენიდე“ და – აქედან გამომდინარე – ნებისმიერი პლატონური დიალოგი, სადაც მჭვრეტელობით ტოპოსებზეა საუბარი); 4. ტრადიციულ რელიგიურ გადმოცემაზე მედიტირება (“გორგიასის“ საიქიო მიგების ნარატივი, „ფედონის“ მიღმური სამყაროს ნარატივი, „ტიმეოსის“ ატლანტისისა და სამყაროს მოწყობის ნარატივები, „სახელმწიფოსეული“ პამფილიელი ეროსის ნარატივი).

თუკი პარალელებს დავძებნით, მაშინ „ფედროსისეულ“ მიჯნურობას „ბჰაგავატ-გიტას“ ბჰაქტი-იოგა შეესაბამება, დილექტიკას – ჟნანა-იოგა, ხოლო კარმა-იოგას – მთლიანად პლატონისეული „სახელმწიფო“, „ბჰაგავატ-გიტას“ რეციტაციას კი – ტრადიციულ რელიგიურ გადმოცემებზე პლატონური მედიტირება.

რაც შეეხება ქრისტიანობას, ცხადია, საკუთრივ მჭვრეტელობით აქტს, ანუ მედიტაციის იმ სახეს, რომელიც ტოპოსების ვიზუალიზაციას გულისხმობს, შეიძლება სულიერი ვარჯიშებიც ვუწოდოთ,

ოღონდ კერძო გაგებით. საქმე ისაა, რომ, ფართო გაგებით, სულიერი ვარჯიშები, საზოგადოდ, მჭვრეტელობითი აქტების ყველა ნაირსახეობას უკვე ანტიკური ხანიდან ეწოდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინები „მელეტე“ და „ასკესის“ სწორედ სულიერ ვარჯიშებს აღნიშნავს. მაგრამ ამ ტერმინმა – „სულიერი ვარჯიშები“ – სპეციფიკური კონოტაციები გაცილებით გვიან იეზუიტურ-ეგნატესეულ ტრადიციაში შეიძინა.

საზოგადოდ, ქრისტიანული ლოცვა სამ კატეგორიად იყოფა: პირველი – ესაა ე. წ. „ზეპირი“, უფრო ზუსტად „წარმოთქმითი, სიტყვიერი“ ლოცვა – ლოცვა, რომელიც იკითხება და ზეპირად წამოითქმება; მეორე – ესაა მედიტაცია, განაზრება-განსჯა; ხოლო მესამე – მჭვრეტელობითი „შინაგანი“ ლოცვა – ლოცვათა შორის ყველაზე მაღალი საფეხური. ეს – ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, ლოცვა იყოფა, ასევე, ორ კატეგორიად – პიროვნულ (პირად) და საჯარო ანუ ლიტურგიულ ლოცვად. ლიტურგიული ლოცვა ანუ, მეორენაირად, რიტუალი (სიტყვისა და ევქარისტიული ლიტურგიის ერთიანობა, რასაც წმინდა მესას, ანუ წმინდა წირვას ვუწოდებთ) სავალდებულოა თითოეული ქრისტიანისათვის.

თუ კი ამ დიქოტომიებიდან პლატონურ სულიერ ტრადიციას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ პლატონმა იცის, როგორც ზეპირი – „გარეგანი“, ისე – მედიტაციურ-მჭვრეტელობითი – „შინაგანი“ ლოცვა. პირველის შესანიშნავი მაგალითია სოკრატეს მიერ ღმერთებისადმი აღვლენილი ლოცვა იმავე ფედროსის ფინალიდან (274c):

> ...მომანიჭეთ შინაგანი მშვენიერება. დაე ყოველივე ის, რასაც გარეგნულად ვფლობ, იყოს მეგობრულად იმ ყოველივესთან, რაც ჩემშია. დაე მდიდარ ადამიანად ჩავთვალო ბრძენი, ხოლო სიმდიდრედ ის, რაც შეიძლება თან წაიღოს ან მიიღოს ზომიერმა ადამიანმა.

რაც შეეხება „შინაგან“ ანუ მჭვრეტელობით-მედიტაციურ ლოცვას – როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ესაა – (1) სიკვდილისათვის მზადება („ფედონი“), (2) მშვენიერებისა და ჭეშმარიტების სიყვარული („ფედროსი“ და „ნადიმი“), (3) დიალექტიკა, როგორც მრავალში ერთის ჭვრეტა („პარმენიდე“) და, საბოლოოდ, (4) ტრადიციულ რელიგიურ გადმოცემაზე მედიტირება („გორგიასი“, „ფედონი“, „სახელმწიფო“, „ტიმეოსი“). ამ უკანასკნელს „სახელმწიფოში“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება – სწორედ საიქიო მიგების ტრადიციულ გადმოცემაზე მედიტირებით მცველიცა და ბანაუსოსიც (მეომარი-ფილოსოფოსი-პოლიტიკოსი და მიწათმოქმედი/ხელოსანი) ერთნაირად აღწევენ მჭვრეტელობისა და ქმედების გაერთიანება-სინთეზს, რასაც შეიძლება პლატონური კარმა-იოგა – ქმედებითი მჭვრეტელობა ან

მჭვრეტელობითი ქმედება – ფილოსოფიური პოლიტიკა და პოლიტიკური ფილოსოფია ვუწოდოთ.

პლატონის სახელმწიფო სამ ფენად იყოფა – მმართველებად, მეომრებად და ბანაუსოსებად (ხელოსნები და მიწათმოქმედები). მმართველებსა და მეომრების ცხოვრების წესში შეერთებულია მჭვრეტელობითი და ქმედებითი ასპექტები: ისინი ერთდროულად არიან ფილოსოფოსებიც და ჯარისკაცებიც. მათ ასწავლიან მუზათა ხელობებს (არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა და დიალექტიკა-ფილოსფია) და გიმნასტიკას, განსხვავებით ბანაუსოსებისაგან. მაგრამ არის ერთი რამ, რასაც ასწავლიან როგორც მომავალ მმართველებსა და მეომრებს, ისე – ბანაუსოსებს. ესაა ტრადიციული რელიგიური გადმოცემები (μυθος, μυθοι). სწორედ ამ გადმოცემების მიხედვით უნდა გააკეთონ სწორი არჩევანი სახელმწიფოს მოქალქეებმა როგორც ამ ცხოვრებაში, ისე სიკვდილის შემდეგ – ჰადესში.

ერთ-ერთი ასეთი გადმოცემა, რითიც მთავრდება „სახელმწიფო", ესაა – პამფილიელი ეროსის მონათხრობი საიქიო მიგების შესახებ. ამ გადმოცემის თანახმად, სულებს ჰადესში უწევთ ახალი მომავალი ცხოვრების არჩევა. მათ წინაშე სხვადასხვა ცხოვრებათა ნიმუშებია. სოკრატე შენიშნავს –

> ადამიანს... ყველაზე დიდი ხიფათი სწორედ აქ ელოდება. ამიტომაც, საჭიროა, შეძლებისდაგვარად, ზრუნვა იმაზე, რომ თითოეულმა ჩვენგანმა მიატოვოს ყველა სხვა სწავლება (დისციპლინა – μαθεμα) და შეისწავლოს და იკვლიოს ის მთავარი... [რომელიც] გამოარჩევინებს ღირსეულ ცხოვრებას ნაძრახისაგან (სახელმწიფო, 618e).

ამ მიღმურ ვიზიონში პამფილიელი ჯარისკაცის სული თვალს ადევნებს იმას, თუ რას ირჩევენ მომავალ ცხოვრებაში სხვადასხვა სულები მოცემული ნიმუშებიდან. მაგალითისათვის, შემოქმედმა ორფეოსმა გედის ხვედრი აირჩია, მეკითარე თამირამ – ბულბულისა, გედმა – ადამიანის ხვედრი ამჯობინა სხვა რაიმე ხვედრს, აიაქსმა (მეფემ და მეომარმა) ლომის ცხოვრება აირჩია, აგამემნონმა (ასევე, მეფემ და მეომარმა) – არწივისა, ატალანტამ, რომელმაც შეჯიბრი მელეაგრესთან წააგო, – შეჯიბრში გამარჯვებულისა, ეპეოსმა (ძალიან უხეშმა მეომარმა) – ხელმარჯვე ქალისა, სამარცხვინო თერსიტემ – მაიმუნისა, ხოლო სულ ბოლოს, ოდისევსმა - საქმეებისაგნ შორს მდგარი ჩვეულებრივი ადამიანის, ფაქტობრივად, ფილოსოფოსის ხვედრი აირჩია (სახელმწიფო, 620bd).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვინმე ზეციდან მოსულის „ქეისი". მას პირველს მოუწია მომავალი ცხოვრების არჩევა და ყოვლისშემძლე ტირანის ხვედრი აირჩია. მან ეს ისე გააკეთა, რომ ხეირიანად

არც კი გაუზრებია თავისი გადაწყვეტილება. აღმოჩნდა, რომ ამის უკან საბედისწერო ხვედრი იმალებოდა – საკუთარი შვილების შეჭმა და სხვა ათასი უბედურება.

არადა, ვინმე წინასწარმეტყველმა, რომელმაც სულებს მომავალ ცხოვრებათა ნიმუშები წარმოუდგინა, ყველა გააფრთხილა, რომ ნიმუშები საკმარისზე მეტი იყო და სულებს მხოლოდ ის ევალებოდათ, რომ კარგად გაეაზრებინათ და აეწონ-დაეწონათ მათ წინაშე არსებული ვარიანტები (სახელმწიფო, 619b).

რატომ მოუვიდა ზეცის ამ მაცხოვრებელს ასეთი შეცდომა? პლატონის მოცემულ შეთხვევას ასე ხსნის:

> ის იმათ რიცხვს მეკუთვნებოდა, ვინც ზეციდან მოვიდა და ვინც თავისი წინა ცხოვრება მოწესრიგებულ სახელმწიფო წყობაში გაატარა. ამიტომაც, მისი სიქველე მხოლოდ ჩვეულების ამბავი იყო და არა – ფილოსოფიური გააზრების ნაყოფი. საზოგადოდ, ბევრმა მათგანმა, ვინც ზეციდან მოვიდა, მსგავსი შეცდომა დაუშვა, რადგანაც ისინი არ აღმოჩნდნენ სიძნელეებში გამობრძმედილნი. ხოლო ისინი კი, ვინც მიწიდან მოვიდნენ, აუჩქარებლად იღებდნენ გადაწყვეტილებას, რადგანაც მათ მრავალი გაჭირვება ჰქონდათ ნანახი... (სახელმწიფო, 619de).

როგორც ვხედავთ, ყველაზე უფრო დიდი უბედურება, რაც ადამიანს ამ ქვეყნად შეიძლება შეემთხვეს, ტირანის ხვედრია, რადგანაც ის ყველაზე უფრო შორსაა ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისაგან. „ფედროსის“ მიხედვით, ადამიანურ ხვედრთა იერარქიას განსაზღვრავს, თუ სულმა ზეცაში რამდენად მეტი იხილა, თუ რა ინტენსივობით უჭვრეტდა ის ჭეშმარიტებას. ის, ვინც ყველაზე მეტი იხილა ზეცაში, მიწაზე ფილოსოფოსი ხდება, ხოლო, ვინც ყველაზე ნაკლები – ტირანი.

მაგრამ ტირანი ცარიელ ადგილას როდი ჩნდება, ტირანული სულისკვეთების ადამიანს სახელმწიფოს ტირანული წყობა შეესაბამება. როგორც გვახსოვს, პლატონის მიხედვით, სულ ხუთი სახელმწიფო წყობა არსებობს: არისტოკრატიული, როცა მართავენ საუკეთესონი; რასაც მოსდევს ტიმოკრატია, როცა მართავენ ყველაზე უფრო პატივცემულნი; ამ წყობის დეგრადაციას მოსდევს ოლიგარქია, როცა მართავენ ისინი, ვისაც ყველაზე მეტი ქონება აქვს. ოლიგარქია, თავის მხრივ, გადადის დემოკრატიაში, სადაც ყველა თანასწორია. დაბოლოს, დემოკრატია ტირანიით მთავრდება. ამის შემდეგ ხუთივე წყობა თავიდან მეორდება.

როგორ და რატომ გადადის დემოკრატია ტირანიაში? რა არის ამის მიზეზი? თუმცა, სჯობს თავიდან დავიწყოთ და თვითონ ამ მარადიული წრებრუნვის მიზეზები ავხსნათ.

პლატონის მიხედვით, არსებობს ერთი სამართლიანი სახელმწიფო წყობა – არისტოკრატია, როცა საუკეთესონი მართავენ. ესაა სწორედ ის სახელმწიფო, რომელზეც სოკრატე საუბრობს. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ წყობას, ოთხივე დეგრადაციის შედეგია – ოთხივე გაფუჭებული წყობაა.

რატომ ფუჭდება არისტოკრატიული წყობა? პლატონის მიხედვით, არაფერია ამ ქვეყანაზე მარადიული და ის, რაც ერთხელ წარმოიშვება, ნადგურდება და მთავრდება კიდეც (სახელმწიფო, 54b). ასე მოსდის, არისტოკრატიულ წყობასაც, რომელიც ტიმოკრატიაში გადადის. ტიმოკრატიას პლატონი მეორენაირად ლაკედემონურ (ან კრეტულ-ლაკედემონურ) წყობასაც უწოდებს (544c და 545b). ის რაღაცით წინა – არისტოკრატიულ წყობას ჰგავს, ხოლო რაღაცით – მომდევნოს, ოლიგარქიულს. ამიტომაც, მას გარდამავალი ადგილი უკავია ამ ორს შორის.

ტიმოკრატიის (ან, სხვაგვარდ „ტიმარქიის“) საფუძველი, „სახელმწიფოს“ თანახმად, პატივმოყვარეობაა. არისტოკრატიული წყობა ტიმოკრატიულით განხეთქილებათა შემთხვევაში იცვლება. ტიმოკრატიის პერიოდში მცველები უფრო მიდრეკილნი არიან გიმნასტიკისაკენ, ვიდრე – მუზათა ხელობების მიმართ. ამ დროს მყარდება კერძო საკუთრება მიწასა და სახლებზე – მცველები ინაწილებენ ქონებას, ხოლო მათ, ვისაც ისინი აქამდე იცავდნენ (და რომელნიც, თავის მხრივ, მცველებს არჩენდნენ) – თავისუფალ მეგობრებს (ბანაუსოსებს) – მონებად აქცევენ (სახელმწიფო, 547c).

ასე რომ, საბოლოოდ, ტიმოკრატია ოლიგარქიაში გადაიზრდება, როცა მართავენ დიდი ქონების მფლობელები. ამის შემდეგ ოლიგარქიას დემოკრატია მოსდევს, სადაც ყველა და ყველაფერი თანაბრდება. აი, როგორ აღწერს პლატონი დემოკრატიის ბოლო სტადიას:

> ...განა ასეთ სახელმწიფოში [იგულისხმება – დემოკრატია] თავისუფლება ყველაფერსა და ყოველივეზე არ ვრცელდება? ... მამა ეჩვევა იმას, რომ შვილს ემსგავსება, ხოლო შვილი მამაზე მნიშვნელოვანი ხდება; ... იქ აღარ ექნებათ მშობლების რიდი და პატივისცამა (იმავე თავისუფლების საბაბით!), მიგრანტი ძირძველ მოქალაქეს გაუთანაბრდება, ხოლო მოქალაქე – მიგრანტს; იგივე სურათი გვექნება უცხოტომელთან მიმართებაშიც. ... ასეთი წყობის დროს მასწავლებელს ეშინია მოსწავლეებისა, ხოლო მოსწავლეებს არანაირი მორიდება არა აქვთ არც მასწავლებლებისა და არც – მენტორებისა. საზოგადოდ, [დემოკრატიულ წყობაში] ახალგაზრდები უფროსებს ბაძავენ და მათ სიტყვითა თუ საქმით ერკინებიან, ხოლო უფროსები ახალგაზრდებს ესადაგებიან და ბაძავენ – მათებურად ხუმრობენ და ლაზღანდარობენ იმ მიზნით, რათა ახალზრდებმა ისინი არასასიამოვნო საურთიერთო და ძალაუფლების მოყვარულ ადამიანებად

> არ მიიჩნიონ. ... მაგრამ უკიდურესი თავისუფლება ამგვარი წყობის ხალხისათვის ისაა, როცა ნაყიდი მონა არანაკლებად თავისუფალია, ვიდრე – მისი მყიდველი მოქალაქე... აღარაფერს ვამბობთ, როგორი თანასწორობა და თავისუფლება აქვთ ქალებს კაცებთან მიმართებაში და – პირიქით... ხოლო ის, თუ როგორი თავისუფლება აქვთ... ცხოველებს, ამას არავინ დაიჯერებს! ... ცხენები და ვირები აქ მედიდურად დაიარებიან და ადამიანებს აბიჯებენ, თუ ისინი მათ გზას არ უთმობენ... ამიტომაც, უკიდურესი თავისუფლება, როგორც ცალკეული ადამიანის, ისე – სახელმწიფოს შემთხვევაში, თავის საპირისპირო უკიდურეს მონობაში გადადის... ასე რომ, ტირანია იბადება... სწორედ ამგვარი ახლგაზრდულად უტიფარი დემოკრატიული წყობიდან... (სახელმწიფო, 562e-563e).

ალბათ, შეუძლებელია უფრო უკეთესი აღწერა თანამედროვე დასავლური ლიბერალური დემოკრატიისა! ასე რომ, სრულიად არაა გასაკვირი, როცა ქრისტიანები, თავის მხრივ, პლატონს ქრისტემდელ ქრისტიანად და ქრისტეს წინასწარმეტყველად თუ ქრისტიანობის წინამორბედად მიიჩნევენ!

ყველაზე უფრო უბედური არსება, პლატონის მიხედვით, ტირანული სულისკვეთების ადამიანია. ის, გარკვეული აზრით, ფილოსოფოსის რადიკალური ამოყირავება და მასთან პოლარულად დაპირისპირებული ფიგურაა. თუკი ფილოსოფისი სულის სამეფო (გონივრული) საწყისის აქტუალიზაციაა, ტირანი, პირიქით – სულის საწინააღმეგო – წადილისმიერი საწყისის ხორცშესხმას წარმოადგენს (580d-e და შემდეგ). ნამდვილი ტირანი ვნებების ნამდვილი მონაა (579e).

ამიტომაც, ყველაზე დიდი ხიფათი, თუკი პამფილიელი ეროსის ხილვას დავუბრუნდებით, ტირანული ცხოვრების წესის არჩევაა. პლატონისეული პოლიტიკური ესქატოლოგიის თანახმად, საჭიროა ამ ცხოვრებაში მაქსიმალურად მივდიოთ ფილოსფიური ცხოვრების წესს, რათა ჰადესში საბედისწერო არჩევანის მსხვერპლი არ გავხდეთ. ამის გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას პლატონი საიქიო მიგების შესახებ ტრადიციულ გადმოცემებსა და ამ გადმოცემების რწმენას ანიჭებს:

> ასე და ამგვარად... ეს გადმოცემა გადარჩა და არ დაიკარგა. და ის ჩვენც გვიხსნის, თუკი მას ვერწმუნებით; მაშინ მდინარე ლეთესაც იოლად გადავლახავთ და ჩვენს სულსაც არ წავიბილწავთ (სახელმწიფო, 621c).